საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი 26.03.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის თავმჯდომარე;

ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ანა ფირცხალაშვილი - შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ნინო ღაღანიძე
ეკატერინე ჩხუტიშვილი
თამარ ბერიანიძე
ანა სამსონაძე
ქეთევან ოჩხიკიძე
ნანი არაბული
აზა ჭანტურია
სალომე ონიანი

მოწვეული ექსპერტები:
მანანა ხაჩიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
გიორგი ღავთაძე - რექტორი
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ციცინო თურქაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაია გრძელიძე - დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი
კონსტანტინე სირბილაძე - პროფესორი
მერაბ დათუაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
მაია შარაბიძე - პროგრამის ხელმძღვანელი
ნანა თხელიძე - დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
კონსტანტინე თოფურია - რექტორი
სოსო გოგილიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი
არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულების უფროსი
მარიამ სილაგავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი
თინათინ ღუდუშაური - პროგრამის ხელმძღვანელი
კახაბერ თავზარაშვილი - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი
სულხან სულხანიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
დავით კიზირია - პროგრამის ხელმძღვანელი
დავით სივსივაძე - პრორექტორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სხდომას აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ესწრებოდა მოწვეული ექსპერტი - მანანა ხაჩიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის

განხილვა

5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

განხილვა

6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით განსახილველი მეორე საკითხის შემთხვევაში სკაიპით უნდა ჩართულიყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა იაშვილი, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ჰქონდა დროითი შეზღუდვა, შესაბამისად მიზანშეწონილი იქნებოდა თუკი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადავიდოდა დღის წესრიგის პირველ საკითხად. ამასთან ერთად, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მეექვსე საკითხების შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იყო ნინო ღაღანიძე, რომელიც ესწრებოდა სხდომას პირველი განსახილველი საკითხიდან და შესაბამისად მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადავიდოდა მესამე საკითხად.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა განხილვა

5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა განხილვა

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განახლებულ დღის წესრიგს.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიზაინის ბაკალავრი 0803
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათავლისწინებული პირველი და მეორე საკითხების განხილვისას აკრედიტაციის ექსპერტი ნანა იაშვილი, რომელიც პირველ საკითხად განსახილველი პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იყო, ხოლო მეორე საკითხად განსახილველი პროგრამის ჯგუფის წევრი, ჩაერთვებოდა სკაიპის საშუალებით და მოახსენებდა საბჭოს ექპსერტთა ჯგუფების მიგნებების შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- რეკომენდირებულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვებისათვის სახელოვნებო-შემოქმედებითი უნარების შემოწმების ან გამოვლენის მიზნით დაწესდეს გამოცდის ან/და პორტფოლიოს წარდგენა.
- რეკომენდებულია ინტერიერის დიზაინის სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება და ამ მიმართულებით საჭიროა პროგრამა განვითარდეს ახალი ტექნოლოგიების კუთხით, ანუ დაემატოს კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები პროფესიული კუთხით (მედია კლასტერი ან სტუდიური სწავლება) მაგ. AutoCad, ArchiCad, 3D Max- რაც დიზაინის ბაკალავრს კონკურენტუნარიანს გახდის აკადემიური და შემოქმედებითი თვალასაზრისით.
- დასამუშავებელია პროგრამის სწავლის შედეგები და განსასაზღვრია სპეციფიური, კონკრეტული სწავლის შედეგები (სივრცითი/შემოქმედებითი აზროვნების განვითარება) ინტერიერის დიზაინის მიმართულებით. ამისათვის უნდა გამრავალფეროვნდეს აღნიშნული დარგის სასწავლო კურსების შინაარსი.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსს დაემატოს ისეთი საკითხები როგორიცაა განათება, ინსოლაცია, აკუსტიკა და მომზადდეს საკურსო პროექტები.
- არქიტექტურულ მოცემულობათა რიცხვს დაემატოს საზოგადოებრივ ნაგებობათა ისეთი ტიპები, როგორიცაა მაგალითად მუზეუმი, საბავშვო ბაღი, კულტურის ცენტრი და სხვ.
- შემუშავდეს და კურიკულუმს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები თანამედროვე დიზაინის ტენდენციების კუთხით, მაგალითად თანამედროვე თრენდი და ინტერიერი ან სხვა.
- რეკომენდებულია კურსი „საავტორო ნაშრომი" კურიკულუმის სასწავლო კურსისთვის დეტალურად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები, რათა მოხდეს შეძენილი ცოდნისა და შემოქმედებითი/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.
- პროგრამით მისანიჭებელი დიზაინის ბაკალავრის კვალიფიკაციის გათვალისწინებით რეკომენდებულია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო კურსის შემუშავება, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია ზოგადად დიზაინის თუ კონკრეტულად ინტერიერისა თუ ტექსტილის დიზაინის სპეციალისტებისათვის.
- რეკომენდებულია, სპეციალობის სასწავლო კურსებში სასწავლო რესურსის განახლება ახალი გამოცემებით.
- სპეციალობის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად განზოგადებულია, რაც, ჩვენი აზრით, უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.
- სპეციალობის კურსებში ნაწილობრივ გადასახედია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, დასახვეწია იდეიდან კონცეფციამდე და მზა ნამუშევრამდე მისვლის მეთოდოლოგიური ასპექტები (კონცეფცია, დიზაინერული აზროვნება, ინსპირაცია).

- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ ინტერიერის დიზაინის სპეციალისტები და არქიტექტორები, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობას.
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სფეროს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა, საჭიროა შემუშავდეს დარგის, განსაკუთრებით ინტერიერის დიზაინის მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები.
- ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საჭიროებები (ენის კურსები, გაცვლითი საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები და სხვა)
- პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ინტერიერის დიზაინის მიმართულებით, რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სასწავლო რესურსის, ლიტერატურის განახლება და გამდიდრება.
- შემოქმედებითი და სივრცითი უნარების გასაუმჯობესებლად/უზრუნველსაყოფად საჭიროა სტუდიური სწავლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს საპროექტო/არქიტექტურული ბიუროს და სახელოვნებო სივრცის მოწყობას, აღჭურვას ციფრული(დიჯიტაიზერი) და ტრადიციული (კულმანი) პლანშეტებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დაამატა ასევე, რომ იგი წინა წლებშიც ყოფილა უნივერსიტეტში, მომიჯნავე პროგრამის აკრედიტაციისას და მისი თქმით, სახეზე იყო პროგრესი საუნივერსიტეტო რესურსების ზრდასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა გადიოდა დიზაინის ბაკალავრის კვლაფიკაციაზე, მოცემულ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბოლოო პროდუქტი, რადგან საუბარი იყო სახელოვნებო მიმართულებაზე. მიუხედავად ამისა, მისი თქმით, პროგრამაზე არსებობდა მასალაში შესრულების კურსი, რომელიც, მისი თქმით, ამ კურსითაც ხდებოდა გარკვეულწილად კომპეტენციის შეფასება. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიზანი იყო, უკეთ გამოჩენილიყო პროგრამაში სახელოვნებო პროდუქტი. მან ასევე აღნიშნა, რომ დიდწილად მნიშვნელოვანი იყო პერსონალის გაძლიერებაც პროგრამაზე, განსაკუთრებით ინტერიერის დიზაინის მიმართულებით, თუმცა ასევე დაამატა, რომ ზოგადად დიზაინის კვალიფიკაციაზე პროგრამა ნამდვილად გადიოდა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა კრედიტების რაოდენობა განსხვავებული კურსებს შორის, თუ იყო ყველა 5 კრედიტიანი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ მიმართლებით ყოველი კურსის კრედიტების რაოდენობა დეტალურად იყო დათვლილი და შესაბამისობაში მოყვანილი, შესაბამისად კრედიტების რაოდენობა ვარირებდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ ექსპერტის თქმით მატერიალური ბაზა განვითარებული იყო წინა წლებთან შედარებით, თუმცა შენიშნა ისიც, რომ დასკვნაში ნახსენები იყო რეკომენდაცია სტუდიური მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ. შესაბამისად, მან იკითხა, საერთოდ არ დახვდათ მსგავსი მუშაობისათვის საჭრო ბაზა, თუ არსებული საჭიროებდა განვითარებას.

ექსპერტმა უპასუხა, რომ თავად ბაზის ფიზიკურად არსებობაზე მეტად, ჯგუფი გულისხმობდა მეთოდურად მსგავსი მუშაობის შეთავაზებას სტუდენტებისთვის. მან აღნიშნა, რომ ბაზა არსებობდა, თუმცა სჭირდებოდა განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად და კონსტრუქციულად შეაფასა ექსპერტთა მიერ გაწეული სამუშაო და აღნიშნა, რომ დასაფასებელი იყო ექსპერტთა მიერ საუკეთესო პრაქტიკების დანახვა და 1-ლი, მე-2 და მე-3 სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მყოფად შეფასება. მან სთხოვა საბჭოს, რომ განეხილა პროგრამის მდგომარეობა, როგორც მიმდინარე და დინამიური პროცესი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებდა რეკომენდაციების უმრავლესობას და მათი დიდი ნაწილი უკვე გაითვალისწინა კიდეც უნივერსიტეტმა. მიღების პროცესის შესახებ მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხედვით დამატებითი გამოცდის ჩაბარება არ უნდა ყოფილიყო აუცილებელი, რადგან პროგრამა უზრუნველყოფდა შესაბამისი უნარების განვითარებას, თანაც, მისი თქმით, როგორც რეკომენდაციებში იყო მითითებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კურსის შეტანის საჭიროება ხაზგასმული, უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა ამ რეკომენდაციას და მსგავსი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ასევე დაეხმარებოდა სტუდენტებს საჭირო უნარების განვითარებაში. მან აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტში ნაწილობრივი შეფასება არ იყო მართებული, რადგან აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას არ სჭირდებოდა იმდენი დრო, რამდენიც გათვალისწინებულია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ" - ბრძანებით იმ შემთხვევისათვის, როდესაც დგება სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობა. იგივე სიტუაცია იყო მისი თქმით მე-4 სტანდარტთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, პროგრამის წარმატების შემთხვევაში აკრედიტაციის პროცესში, ისინი აპირებდნენ პროგრამა გაეძლიერებინათ პერსონალითაც და ამასთან დაკავშირებით მოსაწვევ პირებთან უკვე იყვნენ შეთანხმებულები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, თუ რამდენ სტუდენტს მიიღებდნენ პროგრამაზე აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აპირებდნენ 25 სტუდენტის მიღებას. მან ასევე პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშრებით გააკეთა შენიშვნა და თქვა, რომ 20 კრედიტის ფარგლებში მოხდა პროგრამაში ცვლილება, ძირითადად ინტერიერის დიზაინის მიმართლებით, ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად. მან აღნიშნა, რომ დაემატა ხელოვნებისა და კულტურისა ისტორია და ქართული ხელოვნებისა და კულტურისა ისტორია არჩევითი სახით. ასევე, მან აღნიშნა, რომ კომპიუტერულ პროგრამებს

გარკვეულწილად უკვე ასწავლიდნენ პროგრამაზე ერთ-ერთ კურსის ფარგლებში, თუმცა, რეკომენდაციიდან გამომდინარე, მათ იზრუნეს გრაფიკული CAD ის პროგრამის, Blender ის დამატებაზე მეორე სემესტრში. მისი თქმით, ამ პროგრამისაგან მიღებულ ცოდნას სტუდენტები გამოიყენებდნენ საავტორო და საკურსო ნაშრომებისათვისაც. მან ასევე აღნიშნა, რომ დაემატა კურსი „მოცულობითი სივრცითი კომპოზიცია" და ამ უკანასკნელისათვის მოიწვიეს სპეციალისტი სხვა უნივერსიტეტიდან. „განათების" დამოუკიდებელ საგნად შეტანასთან დაკავშრებით, მან აღნიშნა, რომ განათების საკითხები იფარებოდა ერთ-ერთ კურსში და ეს უკანასკნელი საჭიროებდა სილაბუსის ტექნიკურ შესწორებას, რათა ეს საკითხი უფრო ნათლად ასახულიყო. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობისას ჰქონდათ ურთიერთობა პოსტ-საბჭოთა და პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებთან, რომელთაც უკვე განვლეს ის გზა, რომელზეც ისინი ახლა იყვნენ და მისი თქმით, ისინი სთავაზობდნენ ძირითადად მულტიდისციპლინური მოცულობითი პროგრამების შექმნას. მან აღნიშნა, რომ უცხოელი პარტნიორებისაგან იყო მზადყოფნა, მიეღოთ მონაწილეობა გარკვეული პროგრამების განხორციელებაში. მან ასევე შენიშნა, რომ აპირებდნენ, რომ პროგრამაზე მოქმედ პერსონალს გაევლო გარკვეული გადამზადება უწყვეტი განათლების ცენტრის დახმარებით, რომელიც მოქმედებდა უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯომარე, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, თუ რამდენი აკადემიური პერსონალი ჰყავდათ პროგრამაზე სპეციალობის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ რაოდენობა იყო 11.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ იკითხა მისცემდა თუ არა მომავალში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ინგლისური ენის ცოდნის დონე საშუალებას, რომ ჩართულიყვნენ ინტერნაციონალიზაციის პროცესში და ესწავლათ დარგობრივი კურსები ინგლისურ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისურის სწავლება პროგრამაზე დაგეგმილი იყო 4 სემესტრის განმავლობაში, რომელთაგანაც მეოთხე სემესტრში გათვალისწინებული იყო დარგობრივი ინგლისური. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ უცხო ენის დამატებითი კურსების გავლა არჩევითი ან თავისუფალი კრედიტების სახით.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ შენიშნა, რომ პირადი გამოცდილებით იცოდა, რომ ინტერიერის დიზაინში ფართოდ იყენებდნენ არქიკადის პროგრამას და დაინტერესდა თვლიდნენ თუ არა პროგრამის მესვეურები, რომელთაც არ ჰქონდათ გათვალისწინებული მოცემული პროგრამის ჩასმა სავალდებულოდ პროგრამაში, რომ მათი გამოშვებული კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იქნებოდნენ და ასევე დაამატა მეორე კითხვა, რომელიც ეხებოდა იმ საკითხს, თუ როგორ გამოიყენებდნენ კურსდამთავრებულები პრაქტიკულ საქმიანობაში Blender -ს, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტებისთვის იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძალიან მცირე იყო იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ჰქონდათ რეალური სერტიფიკატები 3D პროგრამებში და უნივერსიტეტი

მათ აქტიურად ეძებდა და მან ასევე დაამატა, რომ ზემოთხსენებული პროგრამა იყო ძალიან ახალი და იგი არ იყო მხოლოდ უნივერსიტეტებისთვის, არამედ ის იყო უფასო უნივერსიტეტებისათვის. რაც შეეხება თავდაპირველ ვერსიაში არქონას, მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იყო საკურსო ნაშრომში ორი ხელმძღვანელის ყოლაში, რომლის მიხედვითაც ერთი დაეხმარებოდა ხელით გაკეთებაში, მეორე კი კომპიუტერულ პროგრამაში. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მოხდა ზემოთ უკვე აღნიშნული ცვლილებები ამ მიმართულებითაც.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ დასაზუსტებლად იკითხა, დაეთანხმა თუ არა უნივერსიტეტი მეორე სტანდარტის ყველა რეკომენდაციას გარდა ორისა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ ის იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციებს. მან ასევე აღნიშნა, რომ დამატებითი წინაპირობის შემოტანაზე არდათანხმება არ იყო მისი ხედვით მართებული და შეიძლებოდა პორტფოლიოს შემოტანა მაინც. კომპიუტერული პროგრამების სწავლის შესახებ მან შენიშნა, რომ ეს ნამდვილად ძალიან საჭირო ნაწილი იყო პროგრამისათვის. ადამიანური რესურსების დეფიციტისა და სამუშაო სივრცეების შექმნის საკითხიც, მისი შენიშვნით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო. არქიტექტურული მოცემულობების დამატების საკითხზე კი მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მართებული იქნებოდა, რომ დათანხმებოდა მოცემულ საკითხზე რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღების შემდეგ გათვალისწინებული იყო, რომ სტუდენტების მცირე ჯგუფები შექმნილიყო მათი სახელოვნებო უნარების მიხედვით. მან ასევე აღნიშნა, რომ ნაშრომების შესაფასებლად არსებობდა ფაკულტეტზე შესაბამისი კომისიაც.

საბჭოს სხდომაზე 16:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა: სერგო ჭელიძემ და თეა მჭედლურმა.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიზაინის ბაკალავრი 0803 სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი 0409
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი სახელოვნებო პროფილითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური სახელოვნებო-შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში.
- რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში, დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;

- რეკომენდებულია, კურსის „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ სპეციფიკის გათვალისწინებით ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსის წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული საოფისე პროგრამები“, რაც არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამის ცოდნაა მიზანშეწონილი ან სავალდებულო აღნიშნული კურსის გასავლელად. რეკომენდებულია, ასევე, ამავე კურსში პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკის გაშლა.
- რეკომენდებულია, კურსს „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ განესაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსი წინაპირობის გარეშეა და მიზანშეშონილი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო ზოგადი ქიმიის კურსი.
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და ძირითად მახასიათებლებს.
- რეკომენდებულია, ასევე, კურიკულუმს დაემატოს კურსი „მხაზველობითი გეომეტრია/გეომეტრიული მოდელირება (პერსპექტივი)“.
- რეკომენდებულია, კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ კომპეტენციებში დაემატოს ღირებულებები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები„ გადამუშავება; კერძოდ, კურიკულუმს უნდა დაემატოს კურსი „ ჰიდრავლიკის საფუძვლები“ რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნის მიღწევა ან გადაიხედოს და გადამუშავდეს აღნიშნული კურსის მიზანი.
- ზოგიერთ სასწავლო კურსში (კერძოდ: „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება“) რეკომენდებულია სასწავლო კურსების თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს შესასწავლი საკითხების მოკლე შინაარსი.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი ანთროპოლოგია-1“ მიზნის დახვეწა და მისი შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ხელოვნების და კულტურის ისტორია“ განახლდეს სასწავლო მასალა უახლესი გამოცემებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების: „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული მოდელირება“, „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია - 1“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია-2“, „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ სილაბუსებში სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას პესონალის ინდივიდუალური საჭიროებები (დარგობრივი

ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა),რაც ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო განვითარებას.

- პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სასწავლო რესურსის, ლიტერატურის განახლება და გამდიდრება.
- რეკომენდებულია მოდის დიზაინის სპეციალობის კურსში შემოქმედებითი, იდეურ-კონცეპტუალური ნაწილის ფორმირება და განვითარება; იდეის,თემისა და სტილის ძიების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაღრმავება, რათა უზრუნველყონ თანამედროვე ცვალებად შემოქმედებით-ინდუსტრიულ გარემოში მოდის ტენდენციებთან, ტრენდებთან,მომხმარებლებთან და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მან დასასრულისკენ შენიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ინტერნაციონალიზაციის პროცესში უფრო მეტი ყურადღება გადატანილი იქნებოდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან ერთად სხვა ქვეყნებზეც, თუნდაც აღმოსავლეთ ევროპიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში შეინიშნებოდა პერსონალის მაღალი ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რასაც ძალიან დადებითად აფასებდა.

სხდომის თავმჯომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახვითი ხელოვნება შემოვიდა არჩევით საგნად მიღების წინაპირობებში. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე ხდებოდა პროგრამაზე მოხდებოდა შეფასება, რომლის მიხედვითაც სტუდენტები გადანაწილდებოდნენ ხელოვნებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებთან დაკავშირებული შენიშვნები მათ გაითვალისწინეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ შენიშვნას ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებით და უკვე დაიწყეს ამ კურსის სწავლება პროგრამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დეპარტამენტში დამუშავებული იყონ 8 კვლევითი პროექტი, მათს შორის 3 ეხებოდა სამოსის ევოლუციას და ასევე დაამატა, რომ დამატებით გრანტების საშუალებით ძლიერდებოდა დეპარტამენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ მხაზველობითი გეომეტრია ინტეგრირებული იყო საინჟინრო გრაფიკის კურსთან და აღნიშნა, რომ არ ჩათვალეს მისი ცალკე საკითხად გამოტანა პირველ ეტაპზე, რადგან უკვე საკმაოდ ვრცლად ისწავლებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მათმა ერთმა თანამშრომელმა მიიღო სერიოზული შემოთავაზება იტალიური მხარიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ ქუთაისში არსებობდა მსუბუქი მრეწველობის კერა და ქუთაისიდან წამოსულ სპეციალისტებზე მოთხოვნა იყო იმ უცხოელებშიც, რომლებიც შემოდიოდნენ საქართველოში საერთო პროექტების განსახორციელებლად ამ მიმართულებით.

საბჭოს სხდომაზე 17:25 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი 1007
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს ქართული პლასტიკის (რელიეფი და ქანდაკება) სასწავლო კურსი, რომლითაც შეივსება და გამთლიანდება ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიის საერთო სურათი.

- საანგარიშო პერიოდში განახლდა სასწავლო რესურსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, ძირითადი სპეციალობის რამდენიმე კურსის (მაგალითად, სასწავლო კურსები: თანამედროვე ქართული ხელოვნება, თანამედროვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნება) სასწავლო რესურსის განახლება და გამდიდრება უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურით, რათა

უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების მიღწევა დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; გასააქტიურებელია სილაბუსებში უახლესი სასწავლო რესურსის ასახვის უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა/პროცედურა

- პრაქტიკის კომპონენტი კურიკულუმის სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება მეოთხე კურსზე. რეკომენდებულია, აღნიშნული კურსი უფრო ადრე, სავარაუდოდ, სწავლების მეორე წელს განხორციელდეს. ამგვარი ცვლილება საშუალებას მისცემს სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

- რეკომენდებულია, მომზადდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვების სრულფასოვანი სქემა (დაკავებული პოზიციის, სასწავლო კურსების სახელწოდებების და შესაბამისი საათობრივი (მათ შორის სხვა უსდ-ში) დატვირთვების მითითებით)

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. პირველი რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ ის მისაღები და გასათვალისწინებელი იყო და უკვე არსებობდა შეთანხმება აღნიშნული სასწავლო კურსის შედგენის შესახებ. მეორე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია განხილული იყო სასწავლო კურსების ავტორებთან და გადაწყდა, რომ სასწავლო კურსს თანამედროვე ქართული ხელოვნება დაემატოს უახლესი სასწავლო მასალა. კერძოდ, ირინა არსენიშვილი "ქართული დაზგური ფერწერა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი-XX საუკუნის 10-20-იანი წლები", თბილისი, 2017; "კირილე ზდანევიჩი", პროექტის ავტორი ნანან შერვაშიძე, თბილისი, 2018; გოგი ხოშტარია, კოტე ჯანდიერი, "პეტრე ოცხელი", თბილისი, 2017, ქეთევან კინწურაშვილი "დავით კაკაბაძე", თბილისი, 2016; თამარ ბელაშვილი, სამსონ ლეჟავა, ქეთევან კინწურაშვილი, მარიამ გაჩეჩილაძე "ალექსანდრე: შურა ბანძელაძე", თბილისი, 2017. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსს თანამედროვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნება, მისი თქმით, აქ ძირითად ქართულენოვან სასწავლო ლიტერატურად გამოიყენება ქეთევან კინწურაშვილის ორიგინალური სახელმძღვანელო "XX საუკუნის ქართული ხელოვნება", რომელიც გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სახელმძღვანელო ავტორის მიერ განახლდა და გამდიდრდა ახალი მასალით, გამოსაცემად მომზადდა მისი მოდიფიცირებული ვერსია ყველა თანამედროვე გამოკვლევის გათვალისწინებით. მან შენიშნა, რომ სახელმძღვანელომ უკვე გაიარა ყველა შესაბამისი პროცედურა, დაიბეჭდება საქართველოს უნივერსიტეტში და მოხდება სილაბუსი არსებული ქართულენიოვანი სახელმძღვანელოს მისით ჩანაცვლება. მესამე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ პრაქტიკა მეოთხე წლიდან (მე-8 სემესტრი) შეიძლებოდა გადმოეტანათ მეორე წელს (მე-4 სემესტრი), მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო, კრედიტული ხელოვნებათმცოდნეობითი პრაქტიკა, თუმცა, ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის თვითშეფასებაში ერთ-ერთ

პრიორიტეტულ და მიმართულებად მითითებულია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობების (სავალდებულო პრაქტიკის მიღმა) გამრავალფეროვნება, შესაბამისად, პრაქტიკულად უკვე მეორე სემესტრიდან პროგრამა სტუდენტს აძლევდა საშუალებას ესარგებლათ ხელოვნების მუზეუმის, ცალკეული სამხატვრო გალერეების და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების შეთავაზებებით სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის თვალსაზრისით. მისი თქმით, სტუდენტთა უმრავლესობა ამ შესაძლებლობით სარგებლობდა და სასწავლო პროგრამის დასრულებამდე რამდენჯერმე გადიოდნენ სპეციალობის შესაბამის პრაქტიკასა და სტაჟირებას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა არაკრედიტული პრაქტიკა და სტაჟირება გაიარა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ხელოვნების მუზეუმში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო სავალდებულო პრაქტიკა ბოლო სემესტრში გათვლილი იყო იმაზე, რომ ხელს უწყობდა სტუდენტს სწორედ პრაქტიკის ფორმატში შეერჩია მისთვის სასურველი თემა საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად და პრაქტიკის გავლის პროცესში შეეხოს საბაკალავრო ნაშრომისთვის რელევანტურ თემას თუ ხელოვნების ნიმუშს. ბოლო რეკომენდაციის შესახებაც, მან აღნიშნა, რომ ის მისაღები იყო და აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში უკვე ასახული იყო რეკომენდებული მონაცემების ის ნაწილი, რომელიც არ იყო სრულფასოვნად წარმოდგენილი (სასწავლო კურსების სახელწოდებები და შესაბამისი საათობრივი (მათ შორის სხვა უსდ-ში) დატვირთვები).

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა ჰკითხა ექსპერტებს, თუ რატომ მიაჩნდათ, რომ პრაქტიკის უფრო ადრე გავლა იქნებოდა უმჯობესი სტუდენტთათვის და დაამატა, რომ ზოგიერთ დარგში, მაგალითად სამართალში მიღებული იყო პრაქტიკის პროგრამის ბოლოს გავლა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირების მიზნით.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ორი ფაქტორი განაპირობებდა მოცემულ რეკომენდაციას. პირველ რიგში, თავად სტუდენტებს სურდათ ჰქონოდათ კრედიტიანი პრაქტიკა და ასევე ის, რომ არსებული მდგომარეობით პრაქტიკა ხორციელდებოდა საბაკალავრო ნაშრომის შექმნის პარალელურად და ლოგიკა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაში, რომ პრაქტიკა თუ უფრო ადრე იქნებოდა, სტუდენტებს შეიძლება უკეთ შეერჩიათ კვლევს საგანი.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ ჰქონდა შეკითხვაც და მოსაზრებაც. პროგრამაში მოცემული იყო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსიც და შემდგომ პერიოდების მიხედვითაც მიდიოდა სწავლება. იგი დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა პროგრამის ასეთი გადაწყვეტა და რა დადებით ფაქტორებს ხედავდნენ მასში? მან აღნიშნა, რომ იგი ეთანხმებოდა ექსპერტებს სილაბუსების თანამედროვე ლიტერატურით გამდიდრების თაობაზე, თუმცა იმ ჩამონათვალისათვის კიდევ ერთი კურსიც უნდა დავუმატებინათ, კერძოდ „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების" კურსი, რომელშიც მე-20 საუკინის არქიტექტურა, ლიტერატურის თვალსაზრისით დაჩაგრული იყო და მითითებული იყო მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული წიგნი. მან ასევე აღნიშნა,

რომ ძალიან კარგად იყო მენეჯმენტის ბლოკი აწყობილი, მაგრამ კვალიფიკაცია ენიჭებოდა ხელოვნებათმცოდნეობაში და უმჯობესი იქნებოდა, მისი აზრით გაეთვალისწინებინათ ექსპერტების რჩევა, ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახვის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხუროთმოძღვრული ძეგლების დათვალიერება ისედაც ხდებოდა პროგრამაში, თუმცა ახლა უფრო გეგმაზომიერად მოხდებოდა დათვალიერებისა და შესწავლის პროცესი. რაც შეეხება სტრუქტურას, მან აღნიშნა, რომ შესავალი კურსებიდან მხოლოდ ერთი იყო შესავალი, მსოფლიო ხელოვნების შესახებ და შემდეგ იწყებოდა უფრო დეტალური კურსები. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა არ იყო პოპულარული და მოთხოვნადი და მენეჯმენტის ნაწილის დამატებამ ძალიან დადებითი როლი ითამაშა მისი პოპულარობის ამაღლებაში. ლიტერატურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საკითხი აუცილებლად იქნებოდა დარგის სპეციალისტების მიერ განხილული და დაამატა, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკა იყო ისეთი, რომ კურსებში გამოყენებული ყოფილიყო ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოსული ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა შენიშნა, რომ ხსენებული ძველი წიგნები წყაროებად ნამდვილად გამოდგებოდა, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, თუკი სტუდენტები არ დარჩებოდნენ ამ ლიტერატურის ანაბარა.

საბჭოს სხდომაზე 18:10 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 18:20 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმოცდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის ბაკალავრი 0401
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტი მიხეილ რუხაია, რომელიც შედიოდა დღის წესრიგის მიხედვთ მე-4, მე-5 და მე-6 საკითხებად განსაზღვრული პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში, ვერ ახერხებდა სხდომაზე და სწრებას და სატელეფონო ჩართვის საშუალებით მიიღებდა სხდომაში მონაწილეობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შედგენა წარმოდგენილი პროგრამისთვის

- სასწავლო კურსებში "INFO3254E Oracle მონაცემთა ბაზის დიზაინი და პროგრამირება"; "INFO3211E კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოება"; "INFO3550E ჰაკინგი და ციფრული მტკიცებულებები" გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;

- განახლდეს სასწავლო კურსის MATH2212E Numerical Analysis სავალდებულო ლიტერატურა
- თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა
- უსდ-მ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინგლისურენოვან პროგრამებში ჩართული პერსონალისათვის ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმები.

მოწვეულმა ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა შენიშვნები იყო ლოგიკური და არ იყო მძიმე, არამედ მარტივად გამოსწორებადი. მან ასევე დადებითად შეაფასა პროგრამის სტრუქტურა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო სწავლის შედეგების რუკა ვიზიტზე. მისი თქმით, 2-3 საკონტაქტო საათი იყო გათვლილი კონკრეტული კურსებისათვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე, მისი თქმით მათ ჰქონდათ საკონსულტაციო საათებთან დაკავშრებით და აღნიშნა, რომ ისინი ასწავლიდნენ, საერთაშორისო აკადემიური პროგრამით. შესაბამისად, მისი თქმით, ისინი თვლიდნენ, რომ შეთავაზებული საათების რაოდენობა რიგ კურსებში სავსებით საკმარისი იყო. საათების გაზრდის შესახებ მან ასევე აღნიშნა, რომ ცისკოს და მაიკროსოფტის ოფიციალური წარმომადგენელი იყო უსდ და მათგან ჰქონდათ წერილი, რომ საკმარისია მოცემული საათების რაოდენობა. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო ჟურნალი და მალე აისახებოდა კომპიუტერული დარგიც ჟუნრალში.

სხდომის თავმჯდომარე, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, თუ როგორ შეფასდებოდა მასწავლებლების ენის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ენის კომპეტენციის შესაფასებლად იყენებდნენ სერტიფიკატებს, ასევე რიგ შემთხვევებში საბუთების განხილვის შემდეგ პედაგოგს ევალებოდა სადემსტრაციო ლექციის ჩატარებაც. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში განიხილებოდა სპეციალურად კომპიუტერული დარგის ჟურნალის გამოცემის საკითხიც.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყდა ინგლისურენოვანი პროგრამების შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე უსდ-ში ხორციელდებოდა ინჟინერიის ინგლისურენოვანი პროგრამა და ჰყავდათ ბევრი საერთაშორისო სტუდენტი, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ მსგავსი პროგრამის შექმნით და ასევე იცოდნენ, რომ მსგავსი პროგრამა მოიზიდავდა კიდევ დამატებით საერთასორისო სტუდენტებს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა გამოცდილება საერთაშორისო სტუდენტების სწავლებისა, რომელთა ნაწილსაც ინჟნერიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სურვილი ჰქონდათ შემდეგი საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამის გავლისა. მან ასევე აღნიშნა, რომ ისინი არ გეგმავდნენ დიდი ჯგუფების მიღებას, მაქსიმუმ ყოფილიყო 1-2 ჯგუფი 25 სტუდენტის ლიმიტით.

საბჭოს სხდომაზე 18:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის მაგისტრი 0401
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შედგენა წარმოდგენილი პროგრამისთვის
- შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა, რათა გამარტივდეს სწავლის შედეგების შეფასება.
- განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსებით ხორციელდება კომპეტენციაზე - „ღირებულებები“ გასვლა.
- პროგრამაზე დაშვება მოხდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის.

- სასწავლო კურსებში: „Web პლათმორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი“, „ქსელური გადამრთველების დაგეგმვა“, „დაპროგრამების ინსტრუმენტები მონაცემთა ბაზებისათვის“ „ERP სისტემების სტრუქტურა და ფუნქციონალობა“, „ მარშრუტიზაციის უზრუნველყოფა ქსელებში“, „კრიპტოლოგია“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა
- თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა
- უსდ-მ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ინგლისურენოვან პროგრამებში ჩართული პერსონალისათვის ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმები.

მან ასევე აღნიშნა, რომ ცისკოს წერილში არაფერი იყო საათებთან დაკავშირებით ნახსენებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი იყო კურსდამთავრებული გამხდარიყო ცისკოს სერტიფიცირებული სპეციალისტი. მან აღნიშნა, რომ მაგალითად CCMP -ს მოთხოვნების მიხედვით 210 აუცილებელი საათი უნდა გაევლო სტუდენტს სერტიფიკატისათვის. მისი თქმით, სწორედ ამის გამო მოხდა ამ საკითხზე ხაზის გასმა.

სხდომის თავმჯდომარე, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა 2.1 კომპონენტით, რომელიც შეფასებული იყო, როგორც „არ არის შესაბამისობაში“, რადგან მიღების წინაპირობებში ნახსენები იყო, თითქოს ზოგადი განათლების დიპლომით შეძლებდნენ სტუდენტები პროგრამაზე ჩარიცხვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ აქ ტექნიკურ შეცდომას ჰქონდა ადგილი და მათ უკვე გამოსწორებული ჰქონდათ მოცემული ხარვეზი.

მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საათებთან დაკავშირებით ბოლომდე არ ეთანხმებოდა ექსპერტებს, რადგან მაგისტრატურა მეტ დამოუკიდებელ მუშაობას მოითხოვდა და შესაბამისად შეიძლებოდა ყოფილიყო ბაკალავრიატზე უფრო ნაკლები საათები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, პროგრამაზე მუშაობაში ჩართული იყო ცისკოს რეგიონალური წარმომადგენლობა და აღნიშნა, რომ ცისკოს წარმომადგენლებთან შეთანხმებით მოხდა 20 საკონტაქტო საათის გაწერა.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა იყო თუ არა სამაგისტრო ნაშრომი გათვალისწინებული პროგრამაში.

ექსპერტმა უპასუხა, რომ უსდ ახორციელებდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს და ჰქონდა დიდი სამეცნიერო პოტენციალი.

საბჭოს სხდომაზე 19:20 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 19:30 საათზე

საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი არგუმენტების, საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებებისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, რადგან პროგრამაზე

დაშვების წინაპირობების ნაწილში დაწესებულების მხრიდან დაშვებული იყო მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც მარტივად იყო შესაძლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემები
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმაცული სისტემების მაგისტრი 040102
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში გაიწეროს დასკვნის უნარი.
- პროგრამის წინაპირობაში ინგლისური ენის დონედ განისაზღვროს B2
- შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციასთან
- თითოეული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს სწავლების მეთოდებისა და სასწავლო კურსების მოცულობის შესაბამისობა

- უსდ-მ ხელი შეუწყოს მოწვეული პერსონალის განვითარებას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო რესურსების უზრუნველყოფით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ შენიშვნას პროგრამის წინაპირობების შესახებ.

მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიონალურ ენაზე საუბრობდა უსდ-ს გუნდი და აღნიშნა, რომ თავად ეს პროგრამა და მიმართულება ძალიან აქტუალური იყო.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა ინგლისურენოვანი ლექტორების საკითხით და იკითხა, ხომ არ ყოფილა რაიმე სახის გასაუბრება.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ვიზიტისას პერსონალს შესთავაზეს ინგლისურად ესაუბრათ, თუმცა მათ უარი თქვეს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ძალიან რთული იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსპონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის შეფასება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა იკითხა, აპირებდა თუ არა უსდ ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციის შემუშავებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აპირებდნენ ცვლილებებს და მუშაობდნენ. მისი თქმით, ისინი მიიღებდნენ პერსონალს კონკურსის მიხედვით. მან აღნიშნა, რომ ენების ცენტრი უკვე გაესაუბრა მოქმედ ლექტორებს და ასევე ხაზი გაუსვა, რომ უმრავლესობას აქვს ინგლისურენოვანი ტრენინგის ან ლექციის ჩატარების გამოცდილება მაგრამ მაინც ახალი კადრის მიღებისას აუცილებლად ექნებოდათ ინგლისურენოვანი გასაუბრება.

საბჭოს სხდომაზე 19:50 საათზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 20:00 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის

პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

20:05 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:
ლევან გორდეზიანი

მდივანი:
ნინო ლიპარტია